

## განმარტებითი ბარათი

### „ლაგოდების მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი“-ს დაზუსტებულ პროექტზე

აღნიშნული განმარტებითი ბარათი წარმოადგენს 2018 წლის განმავლობაში ლაგოდების მუნიციპალიტეტის მიერ გასაწევი ხარჯების და შემოსავლების მოკლე მიმოხილვას, ასევე განმარტებებს ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2018 წლის ბიუჯეტის პროექტზე გამოთქმულ შენიშვნებზე და რეკომენდაციებზე.

### ლაგოდების მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შემოსავლების და ასიგნებების საპროგნოზო მაჩვენებლები

#### მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

ლაგოდების მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 8884.4 ათასი ლარით განისაზღვრა.

მუნიციპალიტეტის საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 2000.0 ათას ლარს შეადგენს, მათ შორის:

- საშემოსავლო გადასახადი - 750.0 ათასი ლარი.
- ქონების გადასახადი - 1250.0 ათასი ლარი.

2018 წლისთვის გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 6543.0 ათასი ლარით, მათ შორის:

- გათანაბრებითი ტრანსფერი 6323.0 ათასი ლარი;
- მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 220.0 ათასი ლარი.

2018 წლისთვის მუნიციპალიტეტის სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განსაზღვრულია 341.4 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

- შემოსავლები საკუთრებიდან - 156.4 ათასი ლარი (პროცენტები - 70.0 ათასი ლარი, მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის - 40.0 ათასი ლარი, შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან - 46.4 ათასი ლარი).
- საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია - 35.0 ათასი ლარი (სანებართვო მოსაკრებელი - 15.0 ათასი ლარი, ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 20.0 ათასი ლარი).
- ჯარიმებიდან, სანქციებიდან და საურავებიდან მიღებული შემოსავალი - 150.0 ათასი ლარი.

#### მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

ლაგოდების მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ასიგნებები განისაზღვრა 8884.4 ათასი ლარის ოდენობით.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ხარჯების ჯამური მოცულობა შეადგენს 7934.2 ათას ლარს, მათ შორის:

- შრომის ანაზღაურება - 1549.0 ათასი ლარი;
- საქონელი და მომსახურება - 2573.4 ათასი ლარი;
- სუბსიდიები - 3047.5 ათასი ლარი;
- სოციალური უზრუნველყოფა - 471.0 ათასი ლარი;
- სხვა ხარჯები - 170.0 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების ზრდა შეადგენს 799.5 ათას ლარს.

ვალდებულების კლება შეადგენს 150.7 ათას ლარს, რომელიც ძირითადად მიმართული იქნება მუნიციპალური განვითარების ფონდიდან აღებული ვალდებულების დაფარვაზე.

მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ხარჯები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- მუნიციპალიტეტის საკრებულო - 550.0 ათასი ლარი;
- მუნიციპალიტეტის მერია - 2146.5 ათასი ლარი;
- სარეზერვო ფონდი - 160.0 ათასი ლარი;
- ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა - 128.0 ათასი ლარი;
- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია - 2381.9 ათასი ლარი, მათ შორის:
  - ✓ საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია - 767.4 ათასი ლარი;
  - ✓ კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია - 1479.5 ათასი ლარი;
  - ✓ მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები - 135.0 ათასი ლარი;
- ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებთა - 1600.0 ათასი ლარი;
- ა(ა)იპ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი - 75.0 ათასი ლარი;
- ა(ა)იპ ახალგაზრდულ საქმეთა და სპორტის განვითარების ცენტრი - 560.0 ათასი ლარი;
- ა(ა)იპ კულტურისა და ტურიზმის განვითარების ცენტრი - 465.0 ათასი ლარი;
- ა(ა)იპ სახელოვნებო სკოლების გაერთიანება - 172.0 ათასი ლარი;
- ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახური - 90.0 ათასი ლარი;
- რელიგიური საქმიანობის ხელშეწყობა - 30.0 ათასი ლარი;
- კულტურული ღონისძიებების მოწყობის ხარჯი (საახალწლო ღონისძიებები) - 10,0 ათასი ლარი;
- სოციალური პროგრამები - 506.0 ათასი ლარი, მათ შორის:
  - ✓ სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარების ღონისძიებები - 225.0 ათასი ლარი;
  - ✓ შშმ პირთა სოციალური დაცვა - 15.0 ათასი ლარი;
  - ✓ სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფის ხარჯები - 100.0 ათასი ლარი;
  - ✓ ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა - 115.0 ათასი ლარი;
  - ✓ სარიტუალო ხარჯი - 5.0 ათასი ლარი;

- ✓ სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ზამთრის თბობის სეზონთან დაკავშირებული მომსახურებები - 40.0 ათასი ლარი.
- ✓ დევნილთა დახმარების ხარჯები - 6.0 ათასი ლარი.

რაც შეეხება 2017 წლის წლის ბიუჯეტის შემოსავლების და 2018 წლის ბიუჯეტის პროექტში ასახულ შემოსავლებს შორის სხვაობა გამოწვეულია „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის გადამუშავებულ პროექტში ლაგოდების მუნიციპალიტეტისთვის 2018 წელს გამოსაყოფი ტრანსფერის და 2018 წელს გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებით. (იხ.დანართი- ფინანსთა სამინისტროდან მიღებული წერილი).

სხვა შემოსავლების მუხლში 341.4 ათასი ლარის დაგეგმვა განპირობებულია მიმდინარე წელს აღნიშნული კუთხით მიღებული ფაქტიური შემოსავლების გათვალისწინებით.

რაც შეეხება 2018 წლის ბიუჯეტის პროექტში დასუფთავების მხრივ გათვალისწინებულ შემოსავლებსა და გასაწევ ხარჯებს, მოგახსენებთ, რომ ლაგოდების მუნიციპალიტეტის მერია აქტიურად განიხილავს აღნიშნულ საკითხს და დასაგეგმი წლის განმავლობაში შეეცდება სწორი ადმინისტრირების გზით მაქსიმალურად ეფექტურად განხორციელდეს აღნიშნული კუთხით გასატარებელი ყველა ღონისძიება.


2017 წლის ბიუჯეტის გეგმისგან განსხვავებით 2018 წლის ბიუჯეტის პროექტში არაფინანსური აქტივების ზრდის სხვაობა გამოწვეულია იმით, რომ ლაგოდების მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტში ამჟამად არ არის ასახული საქართველოს ცენტრალური ორგანოებიდან, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და სხვა სპეციალური ფონდებიდან მისაღები სახსრები. აღნიშნული თანხების 2018 წლის ბიუჯეტში ასახვა განხორციელდება გამოყოფისთანავე.

მერი:



/ჯონდო მდივნიშვილი/

საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და  
სოციალურ საკითხთა სამსახურის  
უფროსი:



/გ. მანგოშვილი/